გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 47
(11 606)

21 – 24 ივნისი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## მსოფლიო XVII ჩემპიონატი ფეხბურთში

**დღეს...**
ინგლისი – ბრაზილია
გერმანია – აშშ
**ხვალ...**
ესპანეთი – სამხრ. კორეა
სენეგალი – თურქეთი

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტული თამაშებიდან გვატყობინებს:

# ქართველმა ჭაბუკებმა რუსეთს სამბო მოსწავლეს

თამაშებზე უკვე რთხჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა ეროვნული დროშა, ჯერჯერობით ოთხივეჯერ მხოლოდ საქართველოს ჭაბუკ ფალავანთა გამარჯვების აღსანიშნავად. პირველი ოქრო ჩვენს გუნდს სამბოში მოუტანა თელაველმა ჯარჯი ფოთოლაშვილმა (63 კგ), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში რიგით უკვე მეშვიდე შერკინებაში რუსეთელ (შორეული აღმოსავლეთი) ანტონ აბმაევს სძლია. მეორე ოქროს მედალი ამ სახეობაში წილად ხვდა რუსეთელ მიხეილ თურქაძეს (მძიმე), რომელმაც ფინალში ასევე რუსეთელ (ცენტრალური ოკრუგი) ანდრე ვოლკოვს დააყრევინა ფარ-ხმალი. ამას გარდა ჩვენმა ჭაბუკმა სამბისტებმა კიდევ ვერცხლის სამი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიპოვეს, ანუ 10 მონაწილედან მედალი 6 სპორტსმენს ხვდა წილად, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა პირველი გუნდური ადგილის მოსაპოვებლად (გუნდურში მედალი არ გათამაშებულა). ახლა გავეცნოთ სამბოს სხვა ქართველ მედალოსნებს. მეორე პრიზიორები გახდნენ კასპელი ზურაბ ოდოშაშვილი (42), ქუთაისელი გელა სანიკიძე (55) და თბილისელი გიორგი მჭედლიშვილი (63), კვარცხლბეკის მესა-

(იხ. მე-2 გვ.)

## საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მეტოქეები ცნობილია

ჩატარდა ხელბურთელთა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა, რომლის შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები ერთ ჯგუფში მოხვდა ავსტრიის, კვიპროსისა და თურქეთის ნაკრებებთან ერთად. დებულების თანახმად, ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები შემდგომ ეტაპზე გააგრძელებენ ბრძოლას. შესარჩევი ეტაპის თამაშები 2003 წლის 2 იანვრიდან დაიწყება. ამ დღეს ქართველი ხელბურთელები სტუმრად ეთამაშებიან ჯგუფის ფავორიტებს — ავსტრიელებს, 3 დღეში კი თავად მასპინძლობენ, 8 და 12 იანვარს მატჩები ელით თურქებთან, ხოლო 16 და 18 იანვარს — კვიპროსის ნაკრებთან.

## *ევროპის პირველობაზე ქართველ მოჭადრაკეთა ჯგუფს ბაადურ ჯობავა მიუძღვით*

*ბათუმში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის პირველობაზე 7 ტური გათამაშდა. შეჯიბრებას 4 ლიდერი ჰყავს: დიმიტრი იაკოვენკომ, ალექსანდრე გალკინმა, ბარტოზ სოსკომ და ბართოლომიეჯ მაჩეიხამ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს.*

*5-5 ქულით მეხუთე-მეათე ადგილებს იყოფენ მიხაილ მარინი, ბაადურ ჯობავა, მიხეილ გურევიჩი, შაჰრიარ მამედიაროვი, ალექსეი ფედოროვი და მიჩელ გოდენა.*

*გიორგი ყაჭეიშვილს, მერაბ გაგუნაშვილს, ზურაბ სტურუას, დავით შენგელიასა და ზვიად იზორიას 4,5 – 4,5 ქულა აქვთ. 4 ქულის მოგროვება შეძლო მაია ჩიბურდანიძემ.*

თენგიზ ჩოგანიძე

## დღეს ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის გათამაშების კენჭისყრაა

დღეს ჟენევაში, ოტელ „ნოგა ჰილტონში“ გაიმართება 2002-2003 წლების სეზონის უეფას თასის გათამაშების შესარჩევი და ჩემპიონთა ლიგის პირველ — მეორე შესარჩევი ეტაპების კენჭისყრა. შეგახსენებთ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას პირველი შესარჩევი ეტაპიდან იწყებს. ხოლო თბილისის „დინამო“ და „ლოკომოტივი“ უეფას თასის შესარჩევი ეტაპიდან.

# ფინალი, ფინალამდე

არის მსოფლიო ჩემპიონატზე მატჩები, რომლებსაც „კლასიკურს“ უწოდებენ იმ გაგებით, რომ ასეთ მატჩებში მონაწილე გუნდები მსოფლიო ჩემპიონები ყოფილან. ასეთ მატჩად ითვლება ბრაზილია – ინგლისის მეოთხედფინალური შეხვედრა. ეს გუნდები პირველად 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაუპირისპირდნენ და ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ – 0-0. ეს იყო ჯგუფური ტურნირის მატჩი.

4 წლის შემდეგ ინგლისელები და ბრაზილიელები მეოთხედფინალში შეეფეთნენ ერთმანეთს. მაშინ ბრაზილიელთა შემადგენლობაში არ თამაშობდა პელე (მას ტრავმა აწუხებდა), სამაგიეროდ, გარინჩა ბრწყინავდა. არ მოიძებნებოდა ფეხბურთელი, რომელსაც მისი შეჩერება შეეძლო. ინგლისელებთან შეხვედრის წინ ბრაზილიელთან მივიდა გუნდის მთავარი მწვრთნელი აიმორე მორეირა და უთხრა:

„მანე (ასე ეძახდნენ გარინჩას – რედ.), იცი რა თქვა ფლაუერსმა, ინგლისის ნაკრებში რომ თამაშობს? – გარინჩა ვერ მომატყუებსო...“ გაუკვირდა გარინჩას, რომ აღმოჩნდა კაცი, რომელიც მის დრიბლინგს „ჩაშლის“... მატჩი საუკეთესო გამოდგა მის კარიერაში. გარინჩამ ორი გოლი გაიტანა, ბრაზილიის ნაკრებმა კი 3-1 გაიმარჯვა.

იმ წელს ბრაზილიელები ჩემპიონები გახდნენ, ოთხი წლის შემდეგ კი ინგლისელები შეუდარებლები იყვნენ. მექსიკის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდები ერთ ჯგუფში მოხვდნენ. მათ შორის ბრძოლა ჩემპიონატის მშვენება იყო. ინგლისელთა გოლკიპერს ბენქსის


ბრაზილიის ნაკრები ისვენებს...

ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, პელემ და მისმა კამპანიამ მინიმალური ანგარიშით 1-0 გაიმარჯვეს.

ამჟამინდელი მატჩი მეტად პრინციპული ხასიათისაა. ფაქტიურად ეს არის ფინალი ფინალამდე. წყვილში გამარჯვებულს ხომ ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს. ინგლისელთა მთავარ მწვრთნელს სვენ-გორან ერიქსონს სჯერა, რომ მისი გუნდი აუცილებლად გაიმარჯვებს. „არგენტინის ნაკრების დამარცხების შემდეგ ჩვენ არავისი გვეშინია“ – თქვა ერიქსონმა.

ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში კვლავ ვარჯიშობს მაიკლოუენი, რომელიც დანიელებთან მატჩში დაშავდა, თუმცა, ტრავმა მალევე მოიშუშა. ჯერჯერობით, ოუენს მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი. თუმცა ის ბრაზილიელებთან მატჩში აპირებს სუპერბომბარდირის რეპუტაციის დაბრუნებას.


ინგლისის ნაკრები მონდომებით ემზადება...

ბრაზილიის ნაკრების ლიდერი რონალდო აცხადებს, რომ მას ინგლისელებთან მატჩში აქვს შანსი, დაუმტკიცოს ყველას, რომ შეუძლია დიდ ფეხბურთში დაბრუნება.

რონალდო და მისი თანაგუნდელები თავიანთი მხრივ, დარწმუნებულნი არიან წარმატებაში. ასე რომ, ყველაფერს უშუალოდ, მატჩი გვიჩვენებს.

რაც შეეხება დანარჩენ მეოთხედფინალურ მატჩებს, საინტერესო შეხვედრა იქნება სენეგალისა და თურქეთის გუნდებს შორის. თუკი სენეგალელები მოიგებენ, ეს იქნება პირველი აფრიკული გუნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ნახევარფინალამდე მიაღწია. იგივე შეიძლება ითქვას, თურქ ფეხბურთელებზე, რომლებიც ბრაზილიელებთან რევანშზეც კი ფიქრობენ.

იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით გერმანიისა და ესპანეთის ნაკრებებს, ვინაიდან ამერიკელმა და კორეელმა ფეხბურთელებმა უკვე დაანახვეს საფეხბურთო სამყაროს, რომ ღირსეული თამაში მათაც შეუძლიათ.

## მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები შეადგინეს

მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალურმა საიტმა ინტერნეტის მეშვეობით გამოკითხვა ჩაატარა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების შესადგენად. ყველაზე მეტი ქულა დიეგო მარადონამ მიიღო — 111035 ხმა. მეორე ადგილზე გავიდა „ფეხბურთის მეფე“ პელე — 107539. ***გაგაცნობთ სიმბოლური ნაკრების სრულ შემადგენლობას. მეკარე:*** ლევ იაშინი; ***მცველები:*** ფრანც ბეკენბაუერი, პაოლო მალდინი, რობერტო კარლოსი; ***ნახევარმცველები:*** დიეგო მარადონა, ზინედინ ზიდანი, რობერტო ბაჯო და მიშელ პლატინი; ***თავდამსხმელები:*** პელე, იოჰან კრუიფი, რომარიო.



# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს, ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა თამაშებზე წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას ჩოგბურთელი თინათინ ყავლაშვილი, რომელიც ნახევარფინალში გავიდა და დღეს შეხვდება რუს და ბელარუს ჩოგბურთელთა შორის გამართულ მატჩში გამარჯვებულს. ბრძოლას გამოეთიშა თათია მიქაძე. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში ლევან ფანცულაიას 5 შესაძლებლიდან 3,5 ქულა აქვს, გაიოზ ნიგალიძეს – 2 ქულა. გოგონათა ტურნირში მოასპარეზე ნანა ძაგნიძეს – 4,5 ქულა. ბელა ხოტენაშვილს – 3,5 (4-იდან).



# მეოთხედფინალურ მატჩებს იმსაჯებენ...

**ფიფამ გამოაქვეყნა იმ მსაჯთა სია, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩებს წარუძღვებიან:**

***21 ივნისი. სიძუოკა.***
**ინგლისი – ბრაზილია**
*მთავარი მსაჯი:* ფელიპე რამოსი (მექსიკა)
*გვერდითი მსაჯები:* ჰექტორ ვერგარა (კანადა), მოჰამედ საიდი (მალდივი).
*სარეზერვო მსაჯი:* ალი ბუსაიმი (არაბეთის გაერთიანებული საემიროები).

***21 ივნისი. ულსანი.***
**გერმანია – აშშ**
*მთავარი მსაჯი:* ჰიუ დალასი (შოტლანდია).
*გვერდითი მსაჯები:* ფილიპ შარპი (ინგლისი), ალი ალ ტრაიფი (საუდის არაბეთი).
*სარეზერვო მსაჯი:* მარკ შილდი (ავსტრალია).

***22 ივნისი. კვანჯუ.***
**ესპანეთი – სამხრეთ კორეა**
*მთავარი მსაჯი:* გამალ განდური (ეგვიპტე).
*გვერდითი მსაჯები:* ალი ტომურანგე (უგანდა), მაიკლ რაგონატი (ტრინიდადი და ტობაგო).
*სარეზერვო მსაჯი:* სად მანე (ქუვეითი).

***22 ივნისი. ოსაკა.***
**სენეგალი – თურქეთი**
*მთავარი მსაჯი:* ოსკარ რუისი (კოლუმბია)
*გვერდითი მსაჯები:* ხორხე რატალინო (არგენტინა), მიგელ ჯაკომაცი (პარაგვაი).
*სარეზერვო მსაჯი:* ჟილ ვისიერი (საფრანგეთი).

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 2 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 8 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

# ქართველმა ჭაბუკებმა რუსეთს სამბო მოსტაცეს

*(პირველი გვერდიდან)*

ხურზე დადგა თბილისელი გიორგი დემეტრაშვილი (78). ჩვენების მიღწევა უფრო შთამბეჭდავი გახდება, თუ ვიტყვით, რომ რუსეთმა მათთვის ჭიდაობის ამ ეროვნულ სახეობაში 9 გუნდი გამოიყვანა და ფაქტობრივად 10 ქართველი ჭაბუკი იბრძოდა 90-ის წინააღმდეგ მედლების დასაკუთრებისთვის. რუსმა სპეციალისტებმა, ცხადია, კარგად იციან სამბოში ჩვენი შესაძლებლობები, მაგრამ საკუთარ „კედლებში" ასეთ მარცხს, როცა ერთი გუნდი იბრძვის ცხრის წინააღმდეგ, ნამდვილად არ მოელოდნენ. ქართველმა „არგონავტებმა" ნამდვილი ფურორი მოახდინეს და რუსეთს თავიანთი ეროვნული სიამაყე მოსტაცეს. გუნდური შედეგებით მეორე იყო ურალსკის, მესამე — მოსკოვის ნაკრები.

*ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* აქაც ორი ოქროს მედალი დავიმსახურეთ, ოღონდ ეგაა, მეორე და მესამე პრიზიორები არ გვყავს. ექვსეულში კი, რაკი საპრიზო ადგილად ითვლება, ყველა სახეობაში, ოღონდ უმეღლოდ, ორი ჩვენი მოჭიდავე მოხვდა, ოზურგეთელი ლევან ზურაბიანი მეხუთე იყო, ბათუმელი ომარ ბაკურაძე — მეექვსე. პირველი ოქროს მედალი ამ სახეობაში კი რუსთაველმა ზურაბ ზაერაშვილმა (58) მოიპოვა, მეორე დღეს კი იგივე წარმატება გაიმეორა თბილისელმა ვლადიმერ გეგეშიძემ (85), რომელმაც ბრწყინვალე სტილში ჩაატარა ფინალური შეხვედრა მოსკოველ სომეხთან, თანაც, რაოდენ გასაკვირია, უფროს მსაჯად სომეხი დასვეს მაგიდასთან. 6:3 — ასე მოიგო ეს პაექრობა ქართველმა ჭაბუკმა.

*ფეხბურთი.* პირველი მარცხის შემდეგ, ქართველმა ჭაბუკებმა მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნეს. მას შემდეგ, რაც ყაზახეთის ნაკრებს სძლიეს 6-1, მშრალი ანგარიშით 3-0 მოუგეს რუსეთის ცენტრის (მოსკოვი) გუნდს, თურქმენებთან მატჩის წინ ჩვენებს 6 ქულა აქვთ. პირველ ადგილზე მიდის ლიტვა — 7 ქულა.

*კალათბურთი.* ჩვენს ჭაბუკებს აშკარა ფავორიტებად მიიჩნევენ, ქვეჯგუფში ისინი რვა ქულით ლიდერობენ. ბურთების შეფარდებით კი რეკორდსმენები არიან 398:235. სამწუხაროდ, უფერულად გამოდიან გოგონები. ესტონელებს მოუგეს ერთი ქულით 80:79, წააგეს პეტერბურგელებთან — 158:22 და უკრაინელებთან 101:49, დარჩათ მატჩები რუსეთის ორ რეგიონთან.

*მძლეოსნობა.* ბირთვის კვრაში თბილისელმა მარიამ ქევხიშვილმა პირად მიღწევაზე უარესი შედეგი აჩვენა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. მართალია, 400 მეტრზე რბენაში ოზურგეთელმა ეკატერინა ტყემალაძემ თავისი პირადი მიღწევა გააუმჯობესა — 58,57, XX ადგილზე გავიდა. ამავე დისტანციაზე დაბრკოლებებით რბენაში კი მე-16 იყო — 1.06,49, აქვე მე-15 იყო თბილისელი თამარ ესებუა — 1.05,91. სხვა შედეგები ასეთია: ნათია კახელიძე, სიგრძე — 5.37 (21-ე ადგილი); თათრულაიძე ნინო (ახმეტა) — 15000 — 4.52,90 (21-ე), 3000 მ — 10.21,99; სოფიო ლაბაძე (ახალციხე) — 1500 მ — 4.58,61 (25-ე), 800 მ — 2.28,85 (25-ე); მარიამ ინაშვილი (თბილისი) — 100 მ. თარჯი — 15,59 (მე-16), 200 მ — 26,50 (26-ე). ირაკლი ჯააძე (ახმეტა) — 2500 მ — 4.22,95 (მე-18), 3000 — 9.08,85 (21-ე); ნინო ელიზბარაშვილი. ბირთვი — 12,42 (მე-9); გიორგი ამირანაშვილი — სიგრძე — 6,30 (მე-13).

*ფარიკაობა.* თბილისელმა ნატო კობიაშვილმა წააგო 8 უძლიერესში შესასვლელი შეხვედრა. გუნდურ პირველობაში დაშნაში ჩვენი ბიჭები X ადგილზე დარჩნენ. მათ პირველი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი წააგეს.

*ცურვა.* ანა სალნიკოვა. 50 მ. ბრასი — 37,8; გიორგი ვეფხვაძე — 100 მ. ბრასი — 1.13,5; ალექსანდრე მოსეშვილი 200 მ. თავ. სტილი — 2.04,4; ივანე ლექვთაძე — 100 მ. ბრასი — 1.11,5 (ყველა მოცურავე თბილისელია).

*ჭადრაკი.* ორი ტურის შემდეგ ლევან ფანცულაია (თბ) — 2,5, გაიოზ ნიგალაძე (ბათ) — 2, ნანა ძაგნიძე (თბ) — 3,5, ბელა ხოტენაშვილი (თელავი) — 2,5.

*ცხენოსნობა.* გუნდურ პირველობაში ჩვენმა მხედრებმა მეორე ადგილი დაიკავეს, რითაც მოიპოვეს უფლება თასის გათამაშების პირად პირველობაში გამოიყვანონ ორი ცხენ-მხედარი.

# ქართველებმა ლიტველების დაამარცხეს

წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას ქართველი კალათბურთელები მოსკოვში მიმდინარე თამაშებში. მორიგ შეხვედრაში ჩვენმა ვაჟებმა სძლიეს რუსეთის (ურალის) ნაკრებს 89:72, ხოლო შემდეგ ფავორიტად აღიარებულ ლიტვის ნაკრებსაც მოუგეს — 89:54.

**გუშინ....**

დღეს საქართველოს ნაკრები ლატვიის ნაკრებს ეთამაშება. ხოლო ხვალ ჩვენი გუნდის მეტოქე სანკტ-პეტერბურგის ნაკრები იქნება.

ქართველმა გოგონებმა პირველ შეხვედრაში ესტონელებთან მინიმალური სხვაობით (80:79) გამარჯვების შემდეგ კატასტროფული ანგარიშით წააგეს სანკტ-პეტერბურგისა და უკრაინის ნაკრებთანაც. ტურნირზე ყველაზე რეკორდული ანგარიში მოსკოვისა და აზერბაიჯანის შეხვედრაში აღინიშნა. აზერბაიჯანელმა ქალებმა მთელი თამაშის განმავლობაში მხოლოდ 8 (!) ქულის მოპოვება შეძლეს. საბოლოოდ ისინი დამარცხდნენ — 8:170.

დღეს საქართველოს კალათბურთელ გოგონათა ნაკრები რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაკრებს ეთამაშება.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ვალენტინა კლიმოვას და უსურვებს ხანგრძლივ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.**

# რბენის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**2002 წლის 30 ივნისს სტარტი მიეცემა ტრადიციულ მძლეოსნურ გარბენს, მიძღვნილს საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი.**

**მონაწილე ორგანიზაციების რეგისტრაცია მოხდება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დავით აღმაშენებლის 65, ტელ. 95-36-87) 25 ივნისიდან.**

საორგანიზაციო კომიტეტი

GEORGIA

## საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენის სქემა

*ქ. თბილისი, 2002 წელი 30 ივნისი, 11 საათი*






# მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობა მზია ჯუღელმა მაქსიმალურად გამოიყენა ქართული სპორტის, კერძოდ, ტანვარჯიშის სახეობების განვითარების სასიკეთოდ. მისი განუზომელი ავტორიტეტის წინაშე ქედს იხრიდნენ სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები, რომელთა თანადგომის გარეშე შეუძლებელი იყო პრობლემების მოგვარება. ახალ-ახალი ინიციატივის გამოჩენა და ტანვარჯიშის პროფილით საშუალო სკოლის შერჩევა. ცხადია, უპირატესობა მიეცემოდა სკოლას, სადაც უნარიანი სპეციალისტი მუშაობდა ფიზ-აღზრდის მასწავლებლად და ბაზაც შესაფერისი იქნებოდა. სასურველი პრინციპით სკოლის შერჩევა შეუძლებელი გახდა — იყო ბაზა, არ იყო კარგი სპეციალისტი და პირიქით. მზიას უკან დახევა არ სჩვეოდა და გამოსავალიც თავადვე გამონახა. მიდგა-მოდგა, ყველა შეაწუხა და ბოლოს საწადელს მაინც მიაღწია: 23-ე საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის მიშენების პროექტი შეადგენინა, მშენებლობაც მალე დაიწყეს. სკოლაში ტანვარჯიშის შესანიშნავი სპეციალისტი, მიხეილ მჭედლიშვილი მუშაობდა ფიზ-აღზრდის მასწავლებლად. დირექტორი იყო გენადი თაბაგარი, რომელსაც ჩინებულად ესმოდა მოსწავლეთა ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიული აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობა.

მიხეილ მჭედლიშვილთან ერთად




მზიამ პირადად გადაარჩია მეორე-მესამე კლასის 65 მოსწავლე. გარკვეული პერიოდის შემდეგ მათგან პერსპექტიული მოზარდები დატოვეს და უკვე დაოსტატების პროგრამით გაგრძელდა მუშაობა. ბევრი მათგანი დიდ სარბიელზეც გავიდა. სკოლამ ტანმოვარჯიშეთა აღზრდის სახელი დაიგდო. აქ დაოსტატდნენ ლალი ბანძელაძე, ლიკა ბულაძე, მარინა ბურძენაძე, რუსიკო ჩიგოგიძე, რუსუდან ასათიანი, ქეთინო ნემსიწვერიძე, მარინე სიგუა, ნანა თაყაიშვილი და სხვ. აქედან გადადიოდნენ სპორტულ საზოგადოებებში. მეტწილად „დინამოში", სადაც იმხანად ოსტატობის სრულყოფის იდეალური პირობები იყო. ლალი ბანძელაძე სპორტის ოსტატი გახდა. დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. დღეს იგი ერთ-ერთი კლინიკის განყოფილების გამგეა თბილისში. 1969 წელს, როცა ლალი სტუდენტი იყო, სამედიცინო ინსტიტუტების საკავშირო პირველობაზე [illegible] სის სახელი მოიპოვა. სპორტიდან მიიღეს ცხოვრების საგზური 23-ე სკოლის სხვა აღსაზრდელებმაც. მზია ჯუღელი თითოეული მათგანისათვის მისაბაძ ადამიანად იქცა. სკოლის სპორტსმენთა აღზრდაში მზია თავად მონაწილეობდა. დამხმარედ ცნობილი მწვრთნელი ლიუბოვ შიროკაია და აკომპანიატორი ანა უნანოვა მიიწვია. მოსწავლეთა გასახალისებლად კი ვარჯიშების პროცესში მოძრავი თამაშობები ჩართო. ასე მისცა გასაქანი ცნობილ და მაგიურ პრინციპს: „მარტივიდან რთულისაკენ". შეგირდები უფროსი კოლეგების, უკვე დაოსტატებული ტანმოვარჯიშეების წვრთნებზე დაჰყავდა, რათა ბავშვებს საკუთარი თვალით ეხილათ რთული ილეთების შესრულება. პირადად. გასცნობოდნენ გამოცდილ, უკვე სახელოვან ტანმოვარჯიშეებს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მზია აღსაზრდელებს საკუთარ ბინაში უჩვენებდა მდიდარ საკუთარ კოლექციას, უამბობდა, თუ სად, როდის და როგორ მოიპოვა თითოეული ჯილდო.

ჩემს წინაა გასულ საუკუნეში ერთ-ერთი შესანიშნავი ფოტოხელოვანის კ. კრომსკის მიერ გადაღებული ფოტო, რომელზედაც შთამბეჭდავადაა გადაღებული მზია ჯუღელი თავის აღსაზრდელებთან ერთად. მწვრთნელი და მოსწავლეები ამაყად თავაწეულები, სპორტულ ფორმაში მიაბიჯებენ დარბაზში. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ კადრი დადგმულია, მაგრამ დადგმული ნიჭიერად, როცა ფოტოხელოვანი მინიშნებით დაგაფიქსირებს მთავარზე. მთავარი კი ისაა, სპორტი თავისი სილაღით ბავშვების თვალებში ანთებული ოცნებით, რწმენად ქცეული მწვრთნელის თავდაჯერებულობით: ეს იყო პატარებთან საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ოლიმპიური ჩემპიონი მზია ჯუღელი. ასეთები იყვნენ მისი ნორჩი მონაწილეები, რომლებიც მწვრთნელს უსაზღვროდ უყვარდა და მოფერებით თითოეულ მათგანს ზედმეტ სახელსაც შეარქმევდა.

ბავშვები ქალბატონ მზიას იდეალია. თუ სპორტში ბოლომდე დარჩა, მხოლოდ პატარების სიყვარულით. საკუთარ მძიმე და ტკივილიან ბავშვობაზე ზედმეტად არასდროს ლაპარაკობს. მაგრამ მისი ცხოვრების წყაროდ, რომ მოზარდების თანადგომა და მათი უსაზღვრო სიყვარული იქცა, აშკარაა, რასაც მთელი მისი საქმიანობა ადასტურებს. გრძნობს, რომ განსაკუთრებით დღეს, ჩვენი ცხოვრების გაუსაძლის პირობებში ესაჭიროებათ ბავშვებს და ოჯახებს თანადგომა, რისი სიკეთეც მან თავის თავზე და ოჯახზე გამოსცადა შორეულ წარსულში. გულის სიღრმემდე განიცდის და წუხს, რომ დღეს თითქმის ყოველ მეორე მოზარდში მძიმე სოციალური ყოფა ახშობს ოცნებას სპორტზე, ბავშვებს არა აქვთ ნორმალური კვება, ვარჯიშზე სიარულისთვის ტრანსპორტის ფულიც კი და ა. შ. ოცნებად იქცა შეკრებები, შეჯიბრებებში მონაწილეობა. ცხადია, ეს პრობლემები მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების მოსაგვარებელი არ არის. ქალალდზე რჩება ქვეყანაში ბავშვთა სპორტის განვითარების პროგრამა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხილეთ „ლელო" №40 (2001)... 44 (2002).*

*გაგრძელება იქნება*

# ბავშვთა ფეხბურთი

## „მსოფლიო ჩემპიონატი" თბილისურად

2002 წელი მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროსთვის გამორჩეულია, ტარდება XXI საუკუნის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი კორეა-იაპონიაში. მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, რომ თბილისში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი 1993-1994 წ.წ. დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების მონაწილეობით. ამ წერილის მიზანია მოგითხროთ ამ მეტად საინტერესო საფეხბურთო ტურნირის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ორგანიზატორთა მეტად უცნაური გადაწყვეტილება, ტურნირზე არ იქნა მიწვეული საქართველოს ნაკრები. მონაწილე გუნდები ოთხ ჯგუფში განაწილდნენ, აი ისინიც. ჯგუფი „ა": საფრანგეთი, სენეგალი, ურუგვაი, დანია. ჯგუფი „ბ" ბრაზილია, თურქეთი, ჩინეთი, კოსტა-რიკა. ჯგუფი „გ" არგენტინა, ნიგერია, ინგლისი, შვედეთი. ჯგუფი „დ" იტალია, ეკვადორი, ხორვატია და მექსიკა.

მატჩები მიმდინარეობდა ტურნირის ორგანიზატორის, საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელის" (ო. გეგეჭკორი, ო. შენგელია) საფეხბურთო მოედნებზე.

ნახევარფინალურ წყვილებში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ არგენტინისა და თურქეთის, ასევე იტალიისა და ბრაზილიის გუნდები. პირველ წყვილში დაძაბულმა ორთაბრძოლამ დააფიქსირა ფრე 1:1, ვერც პენალტების სერიამ გამოავლინა გამარჯვებული და მხოლოდ კენჭისყრამ დაასახელა ფინალისტი — არგენტინის ნაკრები.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ძველი, ტრადიციული მეტოქეები. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ნაკრები მთლიანად დაკომპლექტებული იყო 1994 და 1995 წ. დაბადებული ნორჩი ფეხბურთელებით. „იტალიელმა" პატარებმა ტოლი არ დაუდეს მათზე უფროსებს და დაძაბულ ბრძოლაში დათმეს ფინალის საგზური 2:3.


ვ. თვალჭრელიძე გადასცემს ჯილდოს
ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

19 ივნისს, მსოფლიოს ბავშვთა ფეხბურთის დღეს შედგა ფინალური მატჩი. ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ სამხრეთ ამერიკის და არა მარტო ამ კონტინენტის, არამედ, მსოფლიოს ორი უძლიერესი გუნდი — ბრაზილია და არგენტინა. არგენტინის ნაკრებმა ელვისებური იერიშებით ფაქტიურად პირველ ტაიმშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი. შეხვედრის საბოლოო შედეგია 5:2 არგენტინის ნაკრების სასარგებლოდ. ტურნირის ორგანიზატორმა ბატონმა ვალიკო თვალჭრელიძემ ნიკეს ოქროს თასი გადასცა არგენტინის ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრებს.

**P.S. ძვირფასო მკითხველო. ეს ტურნირი მართლაც ჩატარდა, ყოველივე ზემოთქმული სიმართლეა, ოღონდ, ერთი გამონაკლისით, უბრალოდ, „ნორჩი დინამოელის", 35-ე სკოლის, „ლოკომოტივის", „ოლიმპის" ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების კაპიტნებმა აღნიშნული ნაკრებების სახელწოდებები კენჭისყრით, საგანგებოდ ამ ტურნირისათვის მიიკუთვნეს და მოიწყვეს ლამაზი საფეხბურთო დღესასწაული მსოფლიო ჩემპიონატის მინიახლის გათამაშებით. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თურქეთის გუნდს წარმოადგენდა „ნორჩი დინამოელის" 1993 წლიანები (მწვრთ. ხიტირი), იტალიას „ნორჩი დინამოელის" 1994-წლიანები (მწვრთნელი თვალჭრელიძე), ბრაზილიას ასევე — „ნორჩი დინამოელი", 1993 წლიანები (მწვრთნელი პირადაშვილი) და მსოფლიოს ჩემპიონს არგენტინას „ოლიმპის" 1993-წლიანები (მწვრთნელი დევდარიანი). ფოტოზე წარმოდგენილია 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი „არგენტინის" ნაკრები — „ოლიმპი".**


„არგენტინა" — ტურნირის გამარჯვებული „ოლიმპი"


„ბრაზილია" — ტურნირის II-ადგილოსანი „ნორჩი დინამოელი"

## ბავშვთა მსოფლიო ფეხბურთის დღე საქართველოში

გასული წლის 20 ნოემბერს გაეროს ბავშვთა ფონდს იუნისეფსა და ფიფას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი ეძღვნება ბავშვებს და იუნისეფს. ასეთი რამ პირველად ხდება.

ფიფამ მხარდაჭერა გამოუცხადა იუნისეფს ბავშვთა საკეთილდღეოდ მიმართული პროგრამების განხორციელებაში, სადაც ფეხბურთი ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებიც, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი, ხუან სებასტიან ვერონი, ფრანჩესკო ტოტი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ და სხვები, აქტიურად მონაწილეობენ ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელებაში.

გარდა ამისა, 19 ივნისი ბავშვთა მსოფლიო ფეხბურთის დღედ გამოცხადდა. ამ დღის აღსანიშნავად თბილისში ჩატარდა ამხანაგური მატჩი საქართველოსა და სომხეთის 1988-89 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩამდე ეროვნულ სტადიონზე შთამბეჭდავი კონცერტი გაიმართა, მონაწილეებს მიესალმნენ სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია.

თამაზ კოსტავას შეგირდებმა სომეხი თანატოლები მინიმალური ანგარიშით 1-0 დაამარცხეს. ეს ერთადერთი გოლი ბუბა დაუშვილმა გაიტანა.




ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა



ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

### უეფას რეგიონთა თასი

## მოყვარულები საევროპო სამზადისს შეუდგნენ

გუშინ, მთავარი მწვრთნელის ჯემალ მახარაშვილის თავკაცობით პირველად შეიკრიბა საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი „თბილისი", რომელმაც მზადება დაიწყო უეფას რეგიონთა თასის საკვალიფიკაციო ტურნირისათვის.

მწვრთნელის განკარგულებაში რეგიონული ლიგის, აღმოსავლეთის ზონის გუნდების 30 ფეხბურთელია. მანამდე გუნდის მესვეურები — თბილისის ფეხბურთის ფედერაციის რეზერვებისა, ნაკრები გუნდებისა და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე, გუნდის უფროსი რევაზ მგელაძე, პრესატაშე ირაკლი კობალავა და მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტებს შეხვდნენ. ტურნირში შესარჩევ ეტაპზე 40 გუნდი იასპარეზებს. ქართული გუნდი 1 ჯგუფში მოხვდა, მისი მეტოქეები იქნებიან აზერბაიჯანის, უკრაინისა და საბერძნეთის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები. ჯგუფის გამარჯვებული ტურნირის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. შესარჩევი მინიიმართება და ჩვენ ...ებს ამ ეტაპზე ... 8 გუნდიდან ერთ-ერთი.

რაც შეეხება ჩვენებურთა მზადების პროცესს, გუნდის ხელმძღვანელთა განმარტებით იგი დაწყებულია და პირველ ჯერზე ოთხ დღეს მოიცავს და გაცნობით ხასიათს ატარებს. უკვე გაისინჯა 60-მდე ფეხბურთელი. პირველ ეტაპზე შერჩა 30 ფეხბურთელი, რომელთა ასაკი 19-დან 35 წლამდე მერყეობს და არ აქვთ პროფესიული კონტრაქტი. პირველი შეკრებისას შეირჩევა 20-22 ფეხბურთელი, რომელთა რიცხვი შემდგომ 18-მდე შემცირდება, სწორედ ისინი ითამაშებენ საკვალიფიკაციო მატჩებში. გუნდის დაკომპლექტება უშუალოდ მთავარი მწვრთნელის მითითებით ხორციელდება, ქმედით დახმარებას გუნდს უწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. პირველი შეკრების შემდეგ გუნდი ერთი კვირა დაისვენებს. 10-15 ივლისისთვის ჩამოყალიბდება გუნდის ძირითადი ბირთვი. 20 ივლისიდან 5 აგვისტომდე დაგეგმილია პირველი გასვლითი შეკრების მოწყობა. ჩემპიონატის დაწყების შემდეგ ტურებს შორის შუალედში ჯემალ მახარაშვილი ფეხბურთელებს თავისთან მოუხმობს. მეორე და დასკვნითი გასვლითი საწვრთნელი შეკრება ნავარაუდევია უშუალოდ შესარჩევი მატჩების წინ მოეწყოს. რჩეული 18 ფეხბურთელი კი, სავარაუდოდ, სექტემბერში ჩაებმება საკვალიფიკაციო ტურნირში.


პრესკონფერენციაზე...
ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

ტურნირი აზერბაიჯანში უნდა გამართულიყო, მაგრამ სამეზობლოს საფეხბურთო მეურნეობაში არსებული ანარქიის გამო ჯგუფის მასპინძელი ჯერ უცნობია. ტურნირის ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს, უკრაინისა და საბერძნეთის ფედერაციები. 40 გუნდი ათ ჯგუფშია განაწილებული, თითოეული ჯგუფის მასპინძელი ქვეყანა და კალენდარი 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე უნდა გაირკვეს. ფინალური ტურნირი სავარაუდოდ 2003 წლის ივნისში გაიმართება.

## აშვეთია ისევ «ალანიაშია»

„ალანიასა" და დანიურ „კოპენჰაგენს" შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად, მეორე წრეში ვლადიკავკაზური კლუბის შემადგენლობაში კვლავ ითამაშებს მიხეილ აშვეთია. დანიურ კლუბში ქართველმა ფეხბურთელმა ვერაფრით ვერ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც აშვეთიამ სხვა კლუბში გადასვლა მოსთხოვა დანიური კლუბის ხელმძღვანელობას. აშვეთიას თხოვნა დააკმაყოფილეს. ასე რომ, „ალანიას" ახლა წმინდა ქართული თავდასხმა ჰყავს გია იმედაძის და მიხეილ აშვეთიას სახით. გარდა ამისა, „ალანია" სხვა ქართველი ფეხბურთელებითაა დაინტერესებული, კერძოდ, ვლადიკავკაზურმა კლუბმა თვალი დაადგა ტორპედოელ რევაზ ქემოკლიძესაც. ყველაფერი უახლოეს ხანში გაირკვევა.

იმასაც გეტყვით, რომ „ალანიას" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ვლადიმერ მუნტიანმა. მის ადგილს ბორის იგნატიევი დაიკავებს.



# საყრილობო სამზადისი

24 ივნისს, 12 საათზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ქართული ფეხბურთის მესვეურები შეიკრიბებიან და წინასაყრილობო თემებზე იმსჯელებენ. თანდათან გვიახლოვდება 24 აგვისტო, სფფ-ს V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დღე, მანამდე პრეზიდენტობის კანდიდატები სამოქმედო გეგმას წარმოადგენენ, დამტკიცდებიან ყრილობის დელეგატები, XIV ჩემპიონატის და XIII თასის გათამაშების რეგლამენტი და კალენდარი. რამდენიმე დღეში ქართულ ფეხბურთს ახალი ლოგო და დროშა ექნება. თუმცა, უმჯობესია სფფ-ს აღმასკომის მე-18 სხდომის დღის წესრიგს განმარტების გარეშე გავეცნოთ:

1. სფფ-ს სუბიექტებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგებისა და პრეზიდენტობის კანდიდატებისა და ყრილობის დელეგატთა რეგისტრაციის შესახებ.
2. XIII ეროვნული ჩემპიონატისა და თასის XII გათამაშების შედეგებისა და XIV ეროვნული ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის თასის XIII გათამაშების რეგლამენტისა და კალენდრის დამტკიცების შესახებ.
3. სფფ-ს ახალი ლოგოსა და დროშის დამტკიცების შესახებ.
4. სხვადასხვა.

## სპარსელები თბილისში

23-25 ივნისს ვახტანგ კოპალეიშვილის ახალგაზრდული 21 წლამდე ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს დედაქალაქში სტუმარდ მყოფ ირანელ თანატოლებთან. ორივე შეხვედრა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. სასტუმრო მონოპოლში განთავსებული ახალგაზრდული ნაკრები მეტოქეს ასეთი შემადგენლობით დაუხვდება: *მეკარეები* — ზურაბ მამალაძე (დინამო თბ), მანუჩარ ივარდავა (ლოკომოტივი); *მცველები* — ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი), ილია კანდელაკი (დინამო თბ), ოთარ ხიზანეიშვილი, რამაზ სვანაძე (ორივე — დინამო თბ), დავით ზაზაშვილი (ვიტ ჯორჯია), ირაკლი ცინარიძე (დინამო ბთ), ალექსანდრე ჩივაძე (დინამო თბ), სერგო ორბელაძე (ლოკომოტივი); ***ნახევარმცველები*** — მალხაზ ასათიანი (ტორპედო), დავით სირაძე (ლოკომოტივი), გიორგი დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), ლადო ახალაია (ზიმბრუ, მოლდოვა), თენგიზ უგრეხელიძე (ნივა, უკრაინა), ზვიად ლაბაძე (გორდა). ***თავდამსხმელები*** — ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ბექა სალარეიშვილი (მერანი), რომან ახალკაცი (ტორპედო), ცეზარ ხურციძე (გორდა), ირაკლი შენგელია (მერანი).

## მსაჯთა დღესასწაული და საუკეთესოთა ათეულები

მეოთხედ იზეიმა არბიტრის დღე მსაჯთა კორპუსმა. 19 ივნისს ეროვნულ სტადიონზე ამაღლებული განწყობილება სუფევდა. გარდა საზეიმო განწყობისა, ამ დღეს სხვა დატვირთვაც აქვს, ფაქტობრივად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, უკვე ტრადიციულად მსაჯებისთვის იწყება ახალი სეზონისთვის სამზადისი. იყო თბილი შეხვედრა, მოგონებები გარდასულ დღეთა, საუბრები მომავალზე. მსაჯებმა სფფ-ს თავკაცობას ჯერ გასული სეზონის ერთგვარი ანგარიში ჩააბარეს, მერე კი სტადიონის ხელოვნურ საფარიან მოედანზე ბურთიც გააგორეს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არბიტრთა ამხანაგურ პაექრობაში დასავლეთელებმა იმარჯვეს 3-0. ორი გოლი გაიტანა ლევან მიქელაძემ, ერთი – სოსო კახიანმა. ზეიმის დასკვნითი და უმ-





ნიშვნელოვანესი აკორდი განვლილი სეზონის საუკეთესოთა დაჯილდოება იყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ათ-ათ საუკეთესო მსაჯს და ასისტენტს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და სამომავლო წარმატებები უსურვა.

ქართველი მსაჯებისთვის კლუბ „ვიტ ჯორჯიას" მსგავსად სეზონი უეფას ინტერტოტოს თასის გათამაშებით დაიწყება. 22 ივნისს ინტერტოტოს პირველი ეტაპის მატჩს პორტუგალიურ „ლეირიასა" და ესტონურ „ტრანსის" შორის გაუძღვებიან სერგო კვარაცხელია, ავთანდილ სამხარაძე და ზურაბ დოლიძე, 29 ივნისს ანდორის „სენტ ჯულიასა" და ჩრდილოეთ ირლანდიური „კორლეინის" პაექრობას განსჯიან ლევან ფანიაშვილი, მამუკა ელიკაშვილი და გურამ ჩიგოგიძე. სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის ანატოლი მილჩენკოს განმარტებით ახალი სეზონისთვის სრულყოფილი სამზადისი 1 ივლისიდან დაიწყება.

ოთხი დღის განმავლობაში ჩვენს მსაჯებს პროგრეს-კურსებს ჩაუტარებს უეფას მსაჯთა კომიტეტის წევრი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რუსი ალექსეი სპირინი. კურსი ერთგვარად თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის იქნება. მსმენელები მიიღებენ უეფას შესაბამის სერთიფიკატებს. სფფ-ს ხელშეწყობით 18 ივლისს ბორჯომში გაივლიან 12-დღიან შეკრებას, სადაც ძირითადად ყურადღება მიექცევა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მსაჯები გაეცნობიან და აითვისებენ სიახლეებს, რომლებიც ფიფა-უეფასგან დაინერგება, მსაჯები ჩააბარებენ თეორიულ გამოცდებს. სეზონის წინ, 31 ივლისს ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკზე მსაჯები ჩააბარებენ კუპერის ტესტს, ვინც თეორიულ და ფიზიკურ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, მათი სია წარედგინება სფფ-ს ხელმძღვანელებს და აღმასკომს დასამტკიცებლად. წარჩინებულნი XIV ეროვნული ჩემპიონატისა და XIII თასის გათამაშების მატჩებს მოემსახურება. მატჩების ინსპექტორებისადმი მოთხოვნები ისეთივე მკაცრი იქნება, როგორც მსაჯებისადმი. თამაშის წესებისა და სიახლეების ზედმიწევნით ცოდნა ყველასთვის აუცილებელია.

### 2001-02 წლების სეზონის საუკეთესო მსაჯთა და ასისტენტთა ათეულები

*არბიტრები* — 1. სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი), 2. მერაბ მალალურაძე (თბილისი), 3. ლევან ფანიაშვილი (თბილისი), 4. ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი), 5. ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი), 6. კახაბერ მესხი (ზუგდიდი), 7. დავით სანაია (სოხუმი), 8. ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი), 9. ავთანდილ ორდინიძე (ონი), 10. პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

***ასისტენტები*** — 1. ლევან მიქელაძე (სამტრედია), 2. მამუკა ელიკაშვილი (თბილისი), 3. ზურაბ დოლიძე (თბილისი), 4. გურამ ჩიგოგიძე (სამტრედია), 5. ავთანდილ სამხარაძე (სოხუმი), 6. კობა გაბრიაძე (ქუთაისი), 7. ლაშა სილაგავა (თბილისი), 8. ზაზა მენთეშაშვილი (თბილისი), 9. იოსებ შალამბერიძე (თბილისი), 10. ზურაბ ჯვარიძე (თბილისი).

## დავით ყიფიანის მემორიალი

ქართული ფეხბურთის სამყარომ კიდევ ერთხელ გაიხსენა დავით ყიფიანი. 18 ივნისს ლეგენდარული ფეხბურთელის დაბადების დღეს, სახლთან, სადაც იგი ბოლო დროს ცხოვრობდა, — შიო მღვიმელის ქუჩაზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. სახლის ფასადზე გაიხსნა დავით ყიფიანის მემორიალური დაფა. იქ იყვნენ მისი ოჯახის წევრები, ვაჟიშვილები, მეგობრები, თანაგუნდელები, უბრალოდ, დათოს უბადლო ნიჭის თაყვანისმცემლები. ერთდროულად იყო განუზომელი სევდა ჩინებული პიროვნებისა და განუმეორებელი ფეხბურთელის უდროო ტრაგიკული აღსასრულის გამო და გახსენება იმ წუთებისა, როდესაც დავით ყიფიანი თავისი დიდოსტატობით აღაფრთოვანებდა და უზომო სიხარულს ჰგვრიდა ათასობით გულშემატკივარს. სიცოცხლეშივე ლეგენდად აღიარებული ფეხბურთელი, გარდაცვალების მერეც ლეგენდად დარჩა, დავით ყიფიანი უკვდავია, ისევე, როგორც უკვდავია მისი სამშობლო და წარუშლელია ისევე, როგორც ერის მეხსიერება.

სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ დავით ყიფიანის ოჯახს გადასცა ფიფას უმაღლესი ორდენი, რომელიც ქართველ სასიქადულო ფეხბურთელს სიკვდილის შემდეგ გადაეცა.



## სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე
# აურზაური ქობულეთში

გივი ჩოხელის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ქობულეთში ადგილობრივი გუნდი და თბილისის „ბერი" ხვდებოდა ერთმანეთს, როდესაც მატჩის დამთავრებას ათი წუთი აკლდა, თბილისის გუნდის ხელმძღვანელმა ავთანდილ ჯელაძემ თავის ფეხბურთელებს თამაში მიატოვებინა. მატჩი ჩაიშალა, ამ დროისთვის მასპინძლები 5-1 იგებდნენ, ხოლო სტუმრებს ორი ფეხბურთელი ჰყავდათ გაძევებული. გიორგი ბაბაშვილს ორი ყვითელი ბარათის მიღებისთვის, ხოლო ლაშა გობეჯიშვილს გინებისთვის დაატოვებინა მინდორი მთავარმა მსაჯმა კიკაჩეიშვილმა. კოლეგიამ მხარეებს მოუსმინა და დაადგინა: „ბერი" მოიხსნა გათამაშებიდან. კლუბი „ქობულეთი" და ქალაქის სტადიონის მესვეურები გააფრთხილეს, რომ მსაჯებზე ზეგავლენის მოხდენის შემთხვევების განმეორებისას, გუნდი შინაურ მატჩებს ნეიტრალურ მინდორზე გამართავს. თბილისური გუნდის ფეხბურთელები – გიორგი ბაბაშვილი და ლაშა გობეჯიშვილი შესაბამისად ერთი და სამი თამაშით არიან დისკვალიფიცირებულები.

კიდევ ერთი განხილული საკითხი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კლუბის მთავარი მწვრთნელის გამოუცხადებლობას ეხებოდა. 31 მარტს თბილისური გუნდების „ლოკომოტივისა" და „დინამოს" მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ მასპინძელთა მწვრთნელები. ეს მეორე ასეთი შემთხვევა იყო, რისთვისაც თბილისის „ლოკომოტივი" 200 ლარით დაჯარიმდა.

## „მერცხალი" პირველ ლიგამდე აფრინდა

ოზურგეთის „მერცხალმა" რეგიონული ლიგის დასავლეთის ზონის პირველობისთვის დამატებით მატჩში დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში პენალტების სერიაში 3-0 მოუგო ვანის „სულორს". შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 1-1 დასრულდა. ამრიგად, „მერცხალმა" დასავლეთ ზონაში პირველი ადგილი დაიკავა და პირველ ლიგაში გადავიდა. ლიგის კიდევ ერთი ბინადრის ვინაობა გადათამაშებაში გაირკვევა. 23 ივნისს 18 საათზე ნეიტრალურ მინდორზე ქობულეთში ერთმანეთს შეერკინებიან ხაშურის „ივერია" და ვანის „სულორი".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს მსაჯს ავთანდილ სამხარაძეს მამის
ბორის სამხარაძის
გარდაცვალების გამო.

# ევროპაში მგზავრობას ბელგიიდან დავიწყებთ

UEFA INTERTOTO CUP

*გაგანია მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, თითქოს ნაკლებმნიშვნელოვანი ტურნირი დაიწყება. უეფას ინტერტოტოს თასზე მოგახსენებთ. 22 ივნისს ევროპულ სარბიელზე ქართული კლუბებიდან პირველი „ვიტ ჯორჯია" გავა. თბილისელი ვეტერინარები საკვალიფიკაციო ტურნირს ბელგიაში დაიწყებენ. ჩვენი მეტოქე ბელგიის „ლოკერენია". ბენილუქსის ქვეყანაში „ვიტ ჯორჯია" დღეს გაემგზავრება. გუნდს დაუბრუნდა გიორგი ყიფიანი, ახალწვეული ორია – ლევან მერებაშვილი ზესტაფონის „მეტალურგიდან" და ერეკლე მერებაშვილი თსუ-დან. განაცხადში 18 ფეხბურთელია: მეკარეები – მირზა მერლანი, დავით მამარდაშვილი; მცველები – ლევან მერებაშვილი, თენგიზ კობიაშვილი, გიორგი კვახაძე, ალექსანდრე ინწკირველი; ნახევარმცველები – გიორგი ფეიქრიშვილი, გიორგი ადამია, ლაშა ნოზაძე, დავით დოლიძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი ყიფიანი, ბესიკ თედორაძე, თავდამსხმელები: ვლადიმერ გოჩაშვილი, ლევან მელქაძე, კახა წუწუნავა, ერეკლე მერებაშვილი, სანდრო იაშვილი. გუნდს აკლია ტრავმირებული ზურაბ მეტრეველი. ჟანი კარნავალეს შეგირდები მეტოქეს საპასუხო მატჩში 29 ივნისს უმასპინძლებენ.*

# თურქებმა იაპონელები აატირეს

**მატჩი №55. მიიაგი. მერვედფინალური მატჩი.**
**იაპონია – თურქეთი 0-1 (0-1)**

***იაპონია:*** ნარაზაკი, მაცუდა, მიამოტო, ქ. ნაკატა, ტოდა, ინამოტო (იტიკავა), მოიძინი, ხ. ნაკატა, ონო, ალექსი (სუძუკი), ნისიძავა.
***თურქეთი:*** რუშტუ, ფატიხი, ბიულენტი, ალპაი, უმიტ დავალა (ნიხატი), თუგაი, ჰაკან უნსალი, ბაშთურქი (ილხანი), ერგიუნი, ჰაკან შუქური, ხასანი (ტაიფური).
*გააფრთხილეს:* ალპაი, ერგიუნი, ტოდა, ჰაკან შუქური.
*გოლი:* 0-1 უმიტ დავალა (12).
*მსაჯი:* ა. კოლინა (იტალია).

თურქეთის ნაკრებს ტრადიციად აქვს გადაქცეული მატჩის დასაწყისშივე შეეცადოს უპირატესობის მოპოვებას და ხშირად აღწევს კიდეც მიზანს. ასე მოხდა იაპონელებთან მატჩშიც — სწრაფმა შეტევებმა და ეფექტურმა გადაცემებმა შედეგი უკვე მეთორმეტე წუთზე გამოიღო — ერგიუნის მიერ კუთხურიდან იაპონელთა საჯარიმოში ჩამოწოდებული უმიტ დავალამ თავით ზუსტად გაგზავნა მეტოქის კარისკენ.

გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლებმა დიდი ძალებით შეუტიეს მეტოქეს, თუმცა, თურქეთის ნაკრებმაც სწორი ტაქტიკა აირჩია. თურქმა ფეხბურთელებმა ეტყობა კარგად გააანალიზეს წინა მატჩებში დაშვებული შეცდომები (როცა კოსტა-რიკასთან ანგარიშის გახსნის შემდეგ დაცვაში „ჩაჯდნენ" და გოლიც გაუშვეს), და მხოლოდ დაცვით არ შემოიფარგლნენ. პირიქით, სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ იაპონელთა კარის მიმართულებით.



2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

პირველ ტაიმში იაპონელებმა ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს. მათი ჩვეული იარაღი — სისწრაფე, ამჯერად უსუსური ჩანდა. მეორე ტაიმში ნათელი გახდა, რომ მასპინძლებს არ შეეძლოთ თამაშის რადიკალურად შეცვლა. მათ ერთფეროვან შეტევებს თურქები იოლად უმკლავდებოდნენ.

მატჩის მიწურულს იაპონელები სტუმართა ნახევარზე დამკვიდრდნენ, რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს. თუმცა გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხეს და ერიცხვი გულშემატკივარიც აატირეს. მეოთხედფინალში თურქეთის ნაკრები გავიდა.

# ჩაო, იტალია!

**მატჩი №56. ტეჯონი. 18 ივნისი. მერვედფინალური მატჩი.**
**კორეა – იტალია 2-1 (0-1)**

***კორეა:*** ლი კუნ ჩუუ, ჩიო ჩჟუნ ჩური, ხონ მიუნ ბო, კიმ ეტ იუნი (ხვან სუნ ხონი), სონ ჩონ გუგი (ჩა, დუ რი), კიმ ნამ ირი, (ლი ჩუნ სუ), იუნ სან ჩური, ლი იონ პე, პაკ ჩჟი სუნი, ან ჩჟუნ ხვანი, კი ხიუნ სეული.
***იტალია:*** ბუფონი, პანუჩი, მალდინი, იულიანო, კოკო, ძამბროტა (დი ლივიო), ძანეტი, ტომაზი, ტოტი, დელ პიერო (გატუზო), ვიერი.
*გააფრთხილეს:* კოკო, კიმ ტეიუნი, ტოტი, ტომაზი, ძანეტი, სონ ჩონ გუგი, ლი ჩუნ სუ, ჩოი ჩჟინ ჩური.
*გააძევეს:* ტოტი.
*გოლები:* 0-1 ვიერი (18), 1-1 კიმ ხიუნ სეული (88), 2-1 ან ჩჟუნ ხვანი (116).
*მსაჯი:* ბ. მორენო (ეკვადორი).



მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი სენსაცია — იტალიის ნაკრები მეოთხედფინალში ვერ გავიდა. შინ გაემგზავრა გუნდი, რომელსაც 5 (!) გოლი არ ჩაუთვალეს. მათ შორის იყო თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი და საეჭვო გოლები, რომელთა არჩათვლა მსაჯების კისერზეა. კორეელებთან შეხვედრაში იტალიელებს რამდენიმე წუთი დააკლდათ მეოთხედფინალამდე, როცა ვიერის მიერ მე-18 წუთზე გატანილი გოლით დაწინაურდნენ. არადა, მანამდე, მე-6 წუთზე ან ჩჟუნ ხვანმა ვერ გამოიყენა იტალიელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი. კორეელები გამუდმებით უტევდნენ და მაშინ, როცა მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე 2 წუთი რჩებოდა, სეულმა ანგარიში გაათანაბრა და მსაჯს დამატებითი დრო დაანიშვნინა. პირველი დამატებითი ტაიმის შემდეგ იტალიელები ათნი დარჩნენ მოედანზე (ტოტი გააძევეს) და ცხადია, პენალტების სერიის იმედად დარჩნენ, მაგრამ იქამდე „სკუადრა აძურას" აღარ აცალეს. 115-ე წუთზე კორეელებმა „ოქროს გოლი" გაიტანეს და იტალიელებს ჩემოდნები ჩაალაგებინეს.

## ჩემპიონატის გარშემო...

**მატჩის წინ**

### უმიტ დავალა: „ბრაზილიელებთან რევანშის აღებაზე ვოცნებობთ."

იაპონია-თურქეთის მერვედფინალურ მატჩში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი უმიტ დავალა აცხადებს, რომ მოხარული იქნებოდა, მისი გუნდი ნახევარფინალში კვლავ ბრაზილიის ნაკრებს შეხვედროდა, რათა რევანშის აღების საშუალება მისცემოდა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მეოთხედფინალში თურქი ფეხბურთელები სენეგალის ნაკრების დამარცხებას შეძლებენ, ხოლო ბრაზილიელები — ინგლისელების ჩამოშორებას.

„კარგია, რომ მეოთხედფინალში გავედით. ჩვენმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ვნახოთ, რა მოხდება შემდგომში. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვუგოთ



სენეგალის ნაკრებს, თუმცა ეს ძნელი გასაკეთებელია, მართლაც რომ რთული თამაში გველის", — თქვა დავალამ, „არც ის დაგვვიწყებია, თუ როგორ მოგვიგეს ჩემპიონატის პირველი მატჩი ბრაზილიელებმა. რომ არა მსაჯის შეცდომა, ის თამაში ფრედ დამთავრებოდა".

შეგახსენებთ, რომ სპეციალისტთა დასკვნით, ბრაზილია — თურქეთის შეხვედრისას მსაჯმა არასწორად დანიშნა თერთმეტრიანი თურქების კარში, რადგან მცველის — ალპაის მხრიდან წესის დარღვევა საჯარიმო მოედნამდე მოხდა.

ხვალ თურქეთის ნაკრები სენეგალის გუნდს ხვდება. სენეგალის ნაკრებს მართლაც კარგი გუნდი ჰყავს, ეს შეხვედრა ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო მატჩი უნდა იყოს. დავალას განცხადების თანახმად, სენეგალელები ერთი დღით მეტხანს ისვენებენ, რაც მათ საკმაო უპირატესობას აძლევთ.

# რეკორდი... კიდევ რეკორდი?

**მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლით გერმანიის ნაკრებმა რეკორდი დაამყარა — ის ერთადერთი გუნდია, რომელიც უკანასკნელ 13 (!) მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გადის. თუკი აშშ-ს ნაკრების დამარცხებას შეძლებს, გერმანიის ნაკრები მეათედ გავა ნახევარფინალში, რაც ახალი რეკორდი იქნება.**

## ჩემპიონატის გარშემო...

### ბექჰემს პლასტმასის ძეგლი დაუდგეს



**სანდერლენდში შედგა დევიდ ბექჰემის ძეგლის პრეზენტაცია, რომელიც პლასტმასისგანაა დამზადებული. ინგლისის ნაკრების კაპიტანს ცალ ხელში ასევე პლასტმასისაგან დამზადებული მსოფლიო თასი, ხოლო მეორე ხელით თავისი ვაჟიშვილი — ბრუკლინი უპირავს. ძეგლის ავტორია მეტიუ ჩალინერი, რომელმაც ბექჰემი „გააერთიანა", როგორც ფეხბურთისა და ოჯახის სიმბოლო.**

### ტრაპატონი „სკუადრა აძურას" დატოვებას არ აპირებს

მერვედფინალში სამხრეთ კორეის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ იტალიელთა მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი პოსტის დატოვებას არ აპირებს.

„იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2004 წლამდე მაქვს და მე კვლავ ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას — წინ ხომ ევროპის ჩემპიონატია".

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ნაკრების თამაშს მსოფლიო ჩემპიონატზე კვირის ბოლოს შეაფასებს.

### კლოზე 40 მილიონ ევროდ იყიდება?

**მსოფლიო ჩემპიონატის აღმოჩენა გერმანიის ნაკრების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი — მიროსლავ კლოზე მისმა გუნდმა — „კაიზერსლაუტერნმა" ტრანსფერზე დააყენა.**

**როგორც „კაიზერსლაუტერნის" მთავარმა მწვრთნელმა ანდრეას ბრემემ განაცხადა, კლოზეს გუნდთან კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს, თუმცა თუკი რომელიმე კლუბი ფეხბურთელის შესაძენად 40 მილიონ ევროს გადახდას დააპირებს, „კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელობა მზად არის, განიხილოს ეს საკითხი.**

**თვით კლოზემ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა, რომ მალე დატოვებს „კაიზერსლაუტერნს". „მუნდიალზე" წარმატებამ კი ამ ფეხბურთელისადმი ინტერესი რამდენადმე გაზარდა. მისი ბედი ივლისში გადაწყდება. იმასაც გეტყვით, რომ კლოზეს შეძენა სურთ „ბავარიას", „ბაიერს", „რომასა" და „იუვენტუსს".**



**მიროსლავ კლოზე წარმოშობით პოლონეთიდანაა. 9 წლის ასაკში ის გერმანიაში აღმოჩნდა და „კაიზერსლაუტერნის" მოყვარულთა გუნდში გამოდიოდა გერმანიის მეშვიდე დივიზიონში. შემდეგ ძირითად გუნდშიც მიიწვიეს. 2001 წელს ის პოლონეთის ნაკრებში მიიწვიეს, მაგრამ კლოზემ გერმანიის ნაკრები აირჩია და არც შეცდარა. ის მალე დამკვიდრდა ძირითად შემადგენლობაში.**

### აშშ-სა და სენეგალის პრეზიდენტები ფინალზე ოცნებობენ

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ტელეფონით ესაუბრა სენეგალის პრეზიდენტს აბდულაიე ვადის. ორი ქვეყნის ლიდერთა საუბრის თემა იყო ბრძოლა ტერორიზმთან, პოლიტიკური კრიზისი მადაგასკარზე და აფრიკის ეკონომიური განვითარება.

ბუშმა და ვადმა გამოთქვეს იმედი, რომ თავიანთი ქვეყნის გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთთან შეხვედრას შეძლებენ. საამისოდ კი ამერიკელმა და სენეგალელმა ფეხბურთელებმა მეოთხედფინალური და ნახევარფინალური ეტაპები უნდა დაძლიონ.

### პსვ „ეინდჰოვენს" გუუს ჰიდინკი სურს



**ჰოლანდიურმა საფეხბურთო კლუბმა პსვ „ეინდჰოვენი", რომლის შემადგენლობაში თამაშობს გიორგი გახოკიძე, სამხრეთ კორეის ნაკრების ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელის გუუს ჰიდინკის მიწვევას აპირებს.**

**„ეინდჰოვენის" პრეზიდენტის თქმით, ჰიდინკთან მოლაპარაკებები ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაიწყება.**

### რუმენიგეს 1986 წლის გერმანიის ნაკრები გაახსენდა

ლეგენდარულმა ფეხბურთელმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ გერმანიის ამჟამინდელი ნაკრები ძალიან წააგავს 1986 წლის ნაკრებს, რომელიც მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც არგენტინის ნაკრებთან დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ სპეციალისტები რუდი ფიოლერის გუნდს ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონატიდან გავარდნას მერვედფინალიდან უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, გერმანელმა ფეხბურთელებმა უკვე მეოთხედფინალში გააღწიეს

### რონალდო – „ოქროს ბუცის" მთავარი ფავორიტი



**ბრაზილიელი რონალდო მსოფლიო ჩემპიონატზე შედეგიანი თამაშის ფონზე „ოქროს ბუცის" მთავარი ფავორიტი გახდა. მას გერმანელ მიროსლავ კლოზესთან ერთად 5 ბურთი აქვს გატანილი მეტოქეთა კარში, თუმცა, კლოზესგან განსხვავებით, რომელმაც საუდის არაბეთის ნაკრებთან შეხვედრაში „ჰეთ-თრიკი" შეასრულა, ბრაზილიელ ფეხბურთელს ყოველ შეხვედრაში გაჰქონდა გოლი.**

**„სასიამოვნოა იმის ცქერა, თუ როგორ არის მორთული სტადიონის ტრიბუნები „ბრაზილიურ" ყვითელ ფერში. შესანიშნავი განწყობილება მაქვს. ფაქტიურად, ტურნირი ახლა იწყება და თითოეული მატჩი ჩვენთვის ფინალს წარმოადგენს. ინგლისელებთან მძიმე თამაში გველის", — განაცხადა რონალდომ.**

# უიმბლდონის ტურნირი იწყება

24 ივნისს დაიწყება უიმბლდონის რიგით 116-ე საჩოგბურთო ტურნირი. ვაჟთა შეჯიბრების მთავარ ფავორიტებად მიიჩნევენ ლეიტონ ჰიუიტსა და ანდრე აგასის. თვით ჰიუიტი აცხადებს, რომ შეეცდება, ყველას სძლიოს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ჩოგბურთელი არასდროს გასცდენია მეოთხე წრეს უიმბლდონის წინა ტურნირებში.

2001 წელს, ჰიუიტი შეჯიბრებიდან ფრანგმა ჩოგბურთელმა ნიკოლა ესკიუდემ გამოთიშა.

წლევანდელი ტურნირის მეორე ნომრად განთესილია მარატ საფინი. თუმცა სპეციალისტები გამარჯვებას ანდრე აგასისგანაც ელიან.

ქალთა ტურნირის ფავორიტები, რაღა თქმა უნდა, ვინუს და სერენა უილიამსები არიან, თუმცა სპეციალისტებს ჯენიფერ კაპრიატის წარმატებისაც სჯერათ.

და ბოლოს, უიმბლდონის ტურნირში ერთი ქართველი ჩოგბურთელიცაა. ირაკლი ლაბაძე პირველ წრეში მაროკოელ იუნეს ელ აიანაუის ხვდება. ეს უკანასკნელი მეცამეტე ნომრად არის განთესილი.



## ანა კურნიკოვა: „ძალიან ცუდ სათამაშო ფორმაში ვარ"

რუსული ჩოგბურთის ვარსკვლავმა ანა კურნიკოვამ განაცხადა, რომ უკანასკნელ პერიოდში მისმა წარმატებებმა საგრძნობლად იკლო. თავად განსაჯეთ, კურნიკოვას, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში, უძლიერესთა რიგებში იყო, ამჯერად 54-ე საფეხური უჭირავს.

21 წლის ჩოგბურთელი წარუმატებლად გამოვიდა ისტბორნის ტურნირში, რომელიც უიმბლდონის ტურნირის გენერალურ რეპეტიციად ითვლება. კურნიკოვა პირველივე წრეში დამარცხდა იტალიელ რიტა გრანდესთან – 7:6, 3:6, 1:6.

უიმბლდონის ტურნირზე კურნიკოვას საკუთარი წარმატებისა არ სჯერა, თუმცა, აცხადებს, რომ შეეცდება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.



## ახალი ნიურბურგრინგი „ფორმულა 1"-ს ელის

შაბათ-კვირას გერმანიაში, ნიურბურგრინგის სახელგანთქმულ ავტოდრომზე ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპი „ფორმულა 1"-ის კლასის ავტომობილებს შორის. ეს რბოლა სხვადასხვა კუთხით საინტერესოა, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ შეჯიბრება ახალ, მოდიფიცირებულ ავტოდრომზე ჩატარდება. ტრასის სიგრძე 5,139 კილომეტრს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ პირველი შეჯიბრება ნიურბურგრინგის ავტოდრომზე 1927 წელს ჩატარდა და იმ დროს ტრასა 174 მოსახვევისაგან შედგებოდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ავტოდრომის ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩატარებულ რბოლებში 150-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ეს გაითვალისწინეს სპეციალისტებმა და თანამედროვე ავტოდრომზე ავარიის რისკი რამდენადმე შეამცირეს.

## ო'ბრაიენი დაბრუნდა

**დაიწყო აშშ-ს ჩემპიონატი ათჰიდში, რომლის მთავარი სენსაცია იყო ლეგენდარული სპორტსმენის, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის და ოლიმპიური ჩემპიონის დენ ო'ბრაიენის დიდ სპორტში დაბრუნება.**

**ეს ტურნირი ო'ბრაიენისთვის პირველი იყო 1998 წლის კეთილი ნების თამაშების შემდეგ, სადაც მან ოქროს მედალი მოიპოვა.**

**ამჯერად, ო'ბრაიენი ჩვეული ფორმისგან შორს იყო, მან მხოლოდ ოთხი ეტაპი გაიარა, 400 მეტრ დისტანციაზე სირბილის დროს ტრავმა მიიღო და საბოლოოდ, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა.**

**ო'ბრაიენს ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა აქვს მიზნად დასახული.**

# ოთარ კაკიაშვილი



**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ღვაწლმოსილი ადამიანების რიცხვს კიდევ ერთი დამსახურებული პიროვნება გამოაკლდა. ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგ 76 წლისა გარდაიცვალა წარსულში ცნობილი სპორტსმენი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი აკრობატიკაში, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ტანვარჯიშის კათედრის გამგე, სპორტის ოსტატი, დოცენტი ოთარ კაკიაშვილი.**

**ბატონი ოთარი გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან ეზიარა სპორტს და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მას. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1943-1947 წლებში, იგი სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, რომლის დამთავრებისთანავე შეუდგა შრომით საქმიანობას. 1948-1950 წლებში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრაზე მასწავლებლად, ხოლო 1950 წლიდან მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრაზე ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ კათედრის დოცენტად, ხოლო 1997 წლიდან — ამავე კათედრის გამგედ. ბატონი ოთარი თავის დროზე იყო საქართველოსა და საკავშირო შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებული. აქტიურ სპორტს ჩამოშორების შემდეგ თავისი შრომითი საქმიანობა მთლიანად ახალგაზრდობის აღზრდას დაუკავშირა. მან მრავალი ათეული სპორტის ოსტატი, საქართველოს, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული სპორტსმენი აღზარდა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კედლებში მის მიერ მომზადებული იქნა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა შორის არიან რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები, რომლებიც დღეს წარმატებით აგრძელებენ საწვრთნელ მოღვაწეობას.**

**ბატონი ოთარი მრავალი სამეცნიერო და მეთოდური შრომების ავტორია. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. ხასიათდებოდა საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, სტუდენტებსა და თანამშრომლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით, რისთვისაც დამსახურებული პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ყველა მის ირგვლივ მყოფთა შორის.**

**ბატონი ოთარი სპორტში ხანგრძლივი მოღვაწეობის და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის წარდგენილია ღირსების ორდენის ჯილდოზე.**

**წავიდა ჩვენგან ამაგდარი პედაგოგი, აღმზრდელი კაცური კაცი, რომლის კეთილი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

## მსოფლიო ლიგის თამაშები 28 ივნისს იწყება

28 ივნისს იწყება მსოფლიო ლიგის რიგით მეცამეტე თამაშები ფრენბურთელთა გუნდებს შორის. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ტურნირი ერთგვარ რეპეტიციას წარმოადგენს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც 28 სექტემბერს იწყება.



## მძიმე ავადმყოფობის შემდეგ...



**66 წლის ასაკში, გარდაიცვალა სახელგანთქმული რუსი კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ორგზის პრიზიორი იური კორნეევი. წლების განმავლობაში იური კორნეევი არმიის ცენტრალური კლუბის ღირსებას იცავდა.**

## დალ გილმორი პენსიაზე გადის

*ნჰლ-ს ვარსკვლავმა, 38 წლის დალ გილმორმა, რომელიც კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნდა ჰოკეიში, „მონრეალში" წარმატებული გამოსვლის შემდეგ კვლავ გადაწყვიტა დიდი სპორტიდან წასვლა, ამჯერად საბოლოოდ.*

*„მე ჰოკეიდან ბევრი სიამოვნება მივიღე, ბევრს მივაღწიე. ახლა კი უნდა წავიდე, დროა, ოჯახსაც მივხედო", – განაცხადა დალ გილმორმა ჟურნალისტებთან საუბარში. სამშაბათს დალ გილმორი 39 წლის ხდება.*



## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




21 ივნისი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ. მეოთხედფინალური მატჩები (11.20, 16.20, 21.00 – ვიდეოჩანაწერი), *მე-2 არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ ვიდეოჩანაწერი (19.00), *ევროკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.40), ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ. მეოთხედფინალები (11.20, 16.20, 18.20, 23.40), ყველა დროის მატჩები: 1970 წლის ფინალური მატჩი (13.30), 1974 წლის ფინალური მატჩი (21.40), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (11.45). საცხენოსნო სპორტი (12.15, 18.50), სპორტული ცეკვები, ევროპის ჩემპიონატი (15.10), კრივი. მსოფლიო თასი. ფინალები (17.15), ტაილანდური კრივი (22.40), EUROSPORT. სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (12.30). ფეხბურთი. ასწლეულის მატჩი (13.30), მსოფლიო თასის ისტორია (14.15), ფეხბურთის ლეგენდები (14.30, 15.30), მსოფლიო თასის კლასიკა (2.15), აზიის კულტურის თასი (3.15, 4.45).

22 ივნისი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ მეოთხედფინალური მატჩები (11.20, 16.20, 21.00 ვიდეოჩანაწერი). *II არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ ვიდეოჩანაწერი (19.00). *ევროკა.* მსოფლიო სპორტი (23.40). *მე-9 არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ-ის დღიური (21.10), РТР. „ფორმულა-1". ევროპის გრან-პრი 3.40). ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ მეოთხედფინალები (11.20, 16.20, 23.25). მატჩები ყველა დროისათვის (13.30), მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (18.20), ***НТВ плюс спорт.*** ცხენოსნობა. ინგლისიდან (18.50), ველოსიპედური. მსოფლიო თასის ეტაპი (0.30). EUROSPORT. ცხენოსნობა. ერთენებათა თასი (12.00), ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა (14.15, 2.15). მძლეოსნობა. ევროპის თასი (17.00).

23 ივნისი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ მეოთხედფინალური მატჩი. 22 ივნისის ვიდეოჩანაწერი (21.00), *მე-2 არხი.* ფეხბურთი. მ/ჩ. მეოთხედფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი (19.00). *ევროკა.* „მსოფლიო სპორტი" (23.40). *მე-9 არხი.* მსოფლიო ფეხბურთი" (19.30), მ/ჩ-ის დღიური (21.00). РТР. „ფორმულა-1". ევროპის გრან-პრი (1.30), ***НТВ плюс футбол.*** მ/ჩ მეოთხედფინალი (13.15, 15.00), მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (16.50, 18.55, 23.30). მატჩები ყველა დროისათვის. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (21.00), ***НТВ плюс спорт.*** კრივი. პროფესიონალები. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის (20.00), ტაილანდური კრივი (0.30). EUROSPORT. მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00). მძლეოსნობა. ევროპის თასი (17.00, 21.00). ფეხბურთი: მსოფლიო თასის კლასიკა (2.15), აზიის კულტურის თასი (3.15, 4.45).

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" (რედაქციის ნინ. კოსტავას, 14) გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.

## გარდაიცვალა ვილი დევენპორტი

ჩიკაგოში, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი ვილი დევენპორტი. სიკვდილის მიზეზი გულის შეტევა იყო. დევენპორტი უნიკალურ სპორტსმენად ითვლებოდა, რომელმაც იასპარეზა როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ოლიმპიადებში. 1968 წელს მან ოლიმპიადა მოიგო როგორც მძლეოსანმა, ხოლო შემდეგ ზამთრის ოლიმპიადაზე ბობსლეისტთა შეჯიბრებაში იასპარეზა.



## კროსვორდი № 47

თარაზულად: 6. ქართველი ფალავანი კლასიკურ ჭიდაობაში, მსოფლიო ჩემპიონი, 8. 1964 წლის თბილისის „დინამოს" ჩრდილოკავკასიელი ფეხბურთელი, 10. ფრანგული საფეხბურთო კლუბი, 11. ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი, 12. რაგბის საერთაშორისო ასოციაცია, 14. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 16. იტალიური საფეხბურთო კლუბი, 17. ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი, 19. ცნობილი ქართველი ალპინისტი, 20. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი.

შვეულად: 1. 80-იანი წლების ქართველი მეკარე, 2. იახტის ატრიბუტი, 3. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ახლო წარსულში, 4. ფინური ფეხბურთის ვარსკვლავი, 7. ინგლისელი მოჭადრაკე, 9. იგივეა, რაც კარის დარაჯი, მეკარე... 13. საჭადრაკო პარტიის დასაწყისი, 15. სახელგანთქმული ჩოგბურთელი, 18. მსოფლიო ჩემპიონი მოჭადრაკე ქალის სახელი.

### კროსვორდი №46. პასუხები

თარაზულად: 3. მარადონა, 8. „ისერი", 10. ტოპი, 11. პატი, 12. „პორტუ", 15. „მაკლარენი", 16. ტრასა, 17. ისინდი, 19. ნარდი, 20. ასწიკა. შვეულად: 1. პროსტი, 2. „ელი", 4. ნბა, 5. „ავპოლური", 6. გატრი, 7. ჩიბურდანიძე, 9. აპერკოტი, 13. მასური, 14. ყიფიანი, 17. ინსი, 18. „აია".

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ტაუბერი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კe3! 1. ...მფ:e3 2. ლ:e5X.
1. ...მფd5 2. ლa8X. 1. ...მფf5 2. ლh7X.

რედაქტორის მაგიერ თენგიზ ჩობანიძე